

საქართველოს მთავრობის  
დადგენილება № 721

2014 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „პ“ და „ფ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს „საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა“ დანართი 1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

3. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა**

**1. შესავალი**

საქართველოს სწრაფვა ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყნის მშენებლობას გულისხმობს. ევროინტეგრაციის საწინდარი კი ევროკავშირის მოთხოვნებით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და საგანმანათლებლო სისტემების რეფორმირებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მომავალი განვითარებისათვის რეალური მიზნების დასახვა და მათი ეფექტიანად განხორციელებაა.

შრომის თანამედროვე ბაზარმა განვითარების სწრაფი ტემპითა და ტექნოლოგიების დანერგვის მზარდი ტენდენციებით როგორც განვითარებული, ასევე გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნები, მათ შორის საქართველო, რთული გამოწვევების წინაშე დააყენა. სახელმწიფო ვალდებულია აქტიურად მიმართოს ძალისხმევა ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენებისაკენ, რათა ფეხი აუწყოს განვითარების სწრაფ ტემპს და, ამასთანავე, იზრუნოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის მდგრადი პირობების შექმნაზე. ადამიანის ინტელექტუალური რესურსების მაქსიმალური გამოყენება, პირველ რიგში, გულისხმობს სახელმწიფოს მიერ თითოეული მოქალაქის შესაძლებლობების რეალიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნას, რათა მათ შეძლონ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანა.

ევროპის განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოები ევროკავშირის ხელშეწყობით 2007 წლიდან ჩართულნი არიან უწყვეტი განათლების პროგრამაში (Lifelong Learning Program), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს უწყვეტი პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვის განვითარება წარმოადგენს.

უწყვეტ პროფესიულ კონსულტირებასა და კარიერის დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოს დონეზე. ამასთანავე, პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხები ადამიანისთვის აქტუალური ხდება იმ ასაკიდან, როდესაც ის იწყებს საზოგადოებასთან თვითიდენტიფიკაციას. შესაბამისად, ბევრ ქვეყანაში უწყვეტი კარიერული კონსულტაცია დასაბამს იღებს სკოლამდელი განათლების საფეხურზე. უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია და კარიერის დაგეგმვა ერთმანეთთან აკავშირებს: (1) ადამიანის რესურსსა და ამ რესურსის ნაყოფიერად გამოყენების შესაძლებლობას; (2) შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას; (3) დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს; (4) პროფესიასა და (მომავალ) პროფესიონალებს; (5) საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და განათლების მსურველებს. უწყვეტი პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვა ემსახურება ერთის მხრივ, სახელმწიფოს ინტერესებს და მეორე მხრივ, თითოეული მოქალაქის ინდივიდუალურ ინტერესს.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა შექმნილიყო სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების ზოგადი ხედვა და კონცეპტუალური მიდგომები, არსებული პრობლემების პრიორიტეტიზაციის საფუძველზე მათი მოგვარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები და მათ მოგვარებაში სახელმწიფო სტრუქტურების როლი.

წინამდებარე კონცეფცია ეყრდნობა იმ საერთაშორისო და სახელმწიფო დოკუმენტებს, რომლებიც ეხმიანება პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის თემატიკას: ELGPN (European Lifelong Guidance Policy Network) Concept Note No. 1., No. 2., No. 3., No.4., შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (გაერო, 2006 წ.), საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (2013 წ.), „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (2007 წ.), „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (02.08. 2013წ საქართველოს მთავრობის 199-ე დადგენილება).

## **2.. სიტუაციის ანალიზი და არსებული გამოწვევები**

უახლოეს წარსულში ქვეყანაში არსებული მწვავე ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფონიდან გამომდინარე, პროფესიული კონსულტირება ყურადღების მიღმა დარჩა. განვითარებულმა ქვეყნებმა და განვითარებადი ქვეყნების დიდმა ნაწილმა უკვე მკაფიოდ გააცნობიერეს, რომ

სახელმწიფო პროგრესის მთავარი დასაყრდენი ადამიანური კაპიტალია, ამიტომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ერთის მხრივ, ადამიანური რესურსების დაგეგმვას, და მეორეს მხრივ, ადამიანური რესურსების განვითარებისათვის მდგრადი პირობების შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად კი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის როლი განუზომლად დიდია. ამ მიმართულებით ქვეყანა რამოდენიმე დიდი გამოწვევის წინაშე დგას: **ინფორმირებულობა** - კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მნიშვნელობა ქვეყანაში სათანადოდ არ არის გაცნობიერებული. ამასთანავე, დაბალია საზოგადოების ინფორმირებულობა მიმდინარე და განხორციელებული პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროექტებზე; **კვალიფიციური კადრების სიმწირე და პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების არ არსებობა და ტრენინგ-პროგრამების სიმწირე; მეთოდოლოგიური ლიტერატურის ნაკლებობა;** შეფასების სისტემის არარსებობა ან/და სიმწირე; **კვალიფიციური პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სიმწირე ან არარსებობა.** ეს გამოწვევები თანმიმდევრულ და სინქრონულ მიდგომებს საჭიროებს. თანმიმდევრულობა მისაღწევი მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრას და კონცეფციის არსებულ ვითარებასა და კონტექსტზე მორგებას გულისხმობს. ამასთან, ყველა ძირითად გამოწვევაზე სინქრონული რეაგირება საჭირო მაგალითად, კვალიფიციური კადრების მომზადების გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი სერვისების შექმნა, საზოგადოების ინფორმირების და დაინტერესების გარეშე კი, კარიერული და პროფესიული კონსულტირების მომსახურების სერვისის არსებობა აზრს კარგავს.

„სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბერის №342 ბრძანებით დამტკიცებული „სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის“ განხორციელების ფარგლებში, 2009 წლის სექტემბერში, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე პროფესიული სწავლების ცენტრების კოორდინირებულ მოქმედებათა უზრუნველყოფის მიზნით, „პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის N1329 განკარგულებით შეიქმნა პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო. 2010 წელს ეროვნული პროფესიული საბჭოს ინიციატივით ჩამოყალიბებული 7 თემატური ჯგუფიდან ერთ-ერთს სწორედ „კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის“ თემატური ჯგუფი წარმოადგენდა, რომელსაც ორგანიზებას საერთაშორისო ორგანიზაცია IOM უწევდა. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა და შესაბამისი სატრენინგო მოდული, რომლის მიხედვითაც მოხდა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო

დაწესებულებებში საშტატო ერთეულით გათვალისწინებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერებისა და საქართველოს მასშტაბით არსებული სამი საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების გადამზადება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ "პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის" "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში განხორციელდა სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი საინფორმაციო ცენტრებში, სადაც მოსწავლეებმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღეს პროფესიული განათლების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების შესახებ. 2011 წელს, აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს მასშტაბით 60-ზე მეტი საჯარო სკოლის 2000-მდე (IX, X, XI, XII კლასის) მოსწავლე იყო ჩართული. ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელდა ტრენინგთა ციკლი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სისტემის მოდერნიზაციის მიმართულებით, აღნიშნული საკითხი თავისი მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლავ გამოწვევად რჩება.

პროფესიული განათლების განვითარების შუალედური (2009-2012 წლების) სტრატეგიის ანალიზისა და შეფასებისას გამოიკვეთა რეალობა, რომ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელებული აქტივობები იყო ფრაგმენტული და არასისტემური. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემური ხედვის ჩამოყალიბება და საჭირო მექანიზმების შემუშავება-დანერგვა. აღნიშნული საჭიროების გათვალისწინება მოხდა პროფესიული განათლების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებისას. სტრატეგიაში ხაზგასმულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მნიშვნელობა და ამ კუთხით ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდება მსგავს სტრუქტურებს სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე აღნიშნულია, რომ პროფორიენტაციული მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული განათლების დაწყებამდე, პროცესში და სწავლის დასრულების შემდეგ. მან ხელი უნდა შეუწყოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას სტუდენტების მხრიდან, სწავლის მიტოვების მაჩვენებლის შემცირებას, პროფესიული არჩევანით კმაყოფილებას, დაფინანსების ეფექტურ განკარგვას და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებობს ჩანაწერი - პროფესიული საგანმანათლებლო



დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების შესახებ. თუმცა, ზემოთ აღნიშნული ჩანაწერი საკმარისი არ არის ქმედუნარიანი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სისტემურ დონეზე ამოქმედებისთვის. სასურველია პროფესიული განათლების შესახებ კანონის ახალ რედაქციაში, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაინტერესებული მხარეებისა და ექსპერტების მონაწილეობით ამუშავებს, უწყვეტი განათლების კონტექსტში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებიც აისახოს.

#### **ა) განხორციელებული და მიმდინარე პროექტები**

წინამდებარე კონცეფცია მიზნად ისახავს საქართველოში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც ეხმიანება აღნიშნული მიმართულებით დღემდე გადადგმულ ნაბიჯებს და განსაზღვრავს ორიენტირს სამომავლო ამოცანებისთვის. სამომავლოდ განსაზღვრული ამოცანები და რეკომენდაციები დაფუძნებული უნდა იყოს უკვე შესრულებულ სამუშაოებზე, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია უკანასკნელ პერიოდში კარიერის დაგეგმვისა და პროფკონსულტირების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების მოკლე მიმოხილვა.

#### **ბ) პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა სკოლებში**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით 2014 წლიდან ამოქმედდა „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა“ საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის, რასაც ასევე მოჰყვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელება. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია დაეხმაროს IX-XI კლასის მოსწავლეებს საკუთარი მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, თუ განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით მაქსიმალურად სწორად აირჩიონ პროფესია. ამ მიზნის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში შეიქმნა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო, შეირჩა 102 პროფორიენტაციის სპეციალისტი, რომლებიც სპეციალური გადასამზადებელი კურსის გავლის შემდეგ გადანაწილდნენ თბილისის და რეგიონების რესურსცენტრებში. ამასთანავე, უშუალოდ სკოლებში, მე-9- მე-11 და მე-12 კლასის

მოსწავლეებთან პროფორიენტაციულ მომსახურებას ეწევიან კლასის დამრიგებლები, რომლებმაც ასევე გაიარეს მოსამზადებელი ტრენინგ - კურსი. პროფორიენტაციის სპეციალისტების გარდა შეირჩა და გადამზადდა 5 კოორდინატორი, რომელთა მოვალეობას ამჯერად წარმოადგენს მეთოდოლოგიის შემუშავება, პროექტის კოორდინირება, ტრენინგ მოდულების შექმნა და ტრენინგის ჩატარება, საინფორმაციო ბაზების უზრუნველყოფა, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სპეციალისტების მონიტორინგი/შეფასება სკოლებში. პროფორიენტაციული მომსახურება მოიცავს მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას და არ გულისხმობს კარიერულ/პროფესიულ კონსულტაციას. შეიქმნა ეროვნული საგანმანათლებლო გეგმით გათვალისწინებული პროფორიენტაციის მოდული, რომლის მიხედვითაც თვეში ერთხელ ეწყობა საგაკვეთილო საათი, რომლის ფარგლებშიც კლასის დამრიგებელი მე-9, მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის საჭიროებების, საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების შესახებ. კლასის დამრიგებლის მიერ ჩატარებულ საგაკვეთილო პროცესს ესწრება პროფორიენტაციის სპეციალისტიც, რომელიც ავსებს დაკვირვების ფურცელს და აძლევს რეკომენდაციებს კლასის დამრიგებელს მომავალი გაკვეთილის მომზადებასთან დაკავშირებით. გაკვეთილების ჩატარების გარდა საჯარო სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა მოიცავს გაფართოებული შეხვედრების ორგანიზებას განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლებთან სხვადასხვა პროფესიული შესაძლებლობების გაცნობიერების მიზნით. გარდა ამისა, პერიოდულად ეწყობა ექსკურსიები პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებსა, თუ ორგანიზაციებსა და საწარმოებში საგანმანათლებლო და სამუშაო შესაძლებლობების უკეთ გაცნობის მიზნით.

#### **გ) მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა არაფორმალურ განათლების სექტორში**

2013 წლის დეკემბერში საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მის მიერ ინიცირებული „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაიწყო „მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელება, რომლის მთავარი მიზანია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის, სტუდენტებისთვის და პროფესიის მაძიებელთათვის ყველასთვის ხელმისაწვდომი, პროფორიენტაციული ონლაინ მომსახურების შეთავაზება. ამ მიზნით შეიქმნა ვებ-გვერდი [www.myprofession.ge](http://www.myprofession.ge), რომელიც ადამიანებს აწვდის ინფორმაციას კარიერის დაგეგმვის, კარიერული განვითარების და პროფესიის არჩევის შესახებ. ამავე პროგრამის ფარგლებში მომზადდა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო პროფესიის

მაძიებელთათვის „აირჩიე პროფესია“, რომელიც მკითხველისთვის ერთგვარი გზამკვლევაა კარიერის დაგეგმვის, უფრო მეტად კი პროფესიის არჩევის მიმართულებით. ვებ-გვერდზე განთავსდა ქართულ ენაზე ადაპტირებული თვითშეფასებაზე ორიენტირებული ორი კითხვარი, რომლებიც ვებ-გვერდის მომხმარებლებს საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარებათ.

ვებ-გვერდზე განთავსებულია საკითხავი და სარეკომენდაციო მასალები კარიერის დაგეგმვისა და კარიერის განვითარების შესახებ და ასევე პროფესიათა მოკლე აღწერილობები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს ეხმარებათ მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ, რაც გააზრებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. ამავე მიზნით მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული 40 პროფესიის შესახებ, სადაც კონკრეტულ სფეროში წარმატებული ადამიანი საუბრობს საკუთარი პროფესიის მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომზადებული ინდივიდის თვითშეფასებაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური ინსტრუმენტები არ არის საკმარისი კვალიფიური პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მისაღებად. საჭიროა შემუშავდეს ან/და ადაპტირდეს სტანტარტების შესაბამისი, სანდო და ვალიდური მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორც პროფესიული კონსულტანტებისთვის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ასევე უშუალოდ დაინტერესებული ადამიანებისათვის, რომლებიც საჭიროებენ კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას თვითშეფასების გზით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში მომზადებული სახელმძღვანელო „აირჩიე პროფესია“, გარკვეულწილად, მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალებაა პროფესიული კონსულტაციის პრაქტიკის არარსებობის პირობებში. თუმცა, აუცილებელია თანამედროვე, პრაქტიკული და თითოეულ მიზნობრივ ჯგუფზე მორგებული სხვა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადება.

**დ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტები:**

გასულ წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - [worknet.gov.ge](http://worknet.gov.ge), რომელიც წარმოადგენს სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიმწოდებელთა



მონაცემთა ბაზას, რომელსაც დასაქმების სამსახური/სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს. დღეისათვის [Worknet.gov.ge](http://Worknet.gov.ge)-ზე შესაძლებელია მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებას 10 რეგიონულ ოფისსა და 69 რაიონულ ცენტრში, სადაც მომუშავე სპეციალისტები სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობენ ზოგად კონსულტირებას შემდეგ თემებზე: სამუშაოს მოძიების ტექნიკები, თვითშეფასება, რეზიუმეს და სამოტივაციო წერილის მომზადება და დასაქმების მიზნით გასაუბრებისთვის მომზადება.

დღეისათვის, აღნიშნული პორტალი სრულყოფილად ვერ ახერხებს დამქირავებლების მოთხოვნებისა და დასაქმებულების შესაძლებლობების დაკავშირებას, რადგან სისტემა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. შესაბამისად ის მოკლებულია შეფასების თანამედროვე სისტემების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც შეძლებს სამუშაოს მაძიებელთა შესაძლებლობების და კვალიფიკაციის შესწავლა/შეფასებას. მსგავსი რესურსების არ არსებობა ართულებს პორტალის მუშაობას და სასურველი მიზნის მიღწევას - დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების მოთხოვნების თანხვედრის შეფასება.

#### **ე) საქართველოში სტუდენტური კარიერული სერვისების განვითარების პროგრამა**

2012 წლის 15 ნოემბრიდან საქართველოში დაიწყო Tempus-ის საქართველოში სტუდენტური კარიერული სერვისების განვითარების (CASEDE) პროექტის განხორციელება. პროექტის კოორდინატორია ვილნიუსის უნივერსიტეტი, რომელიც სტუდენტებისთვის კარიერის განათლების კურსის მქონე ქვეყნების (ბუდაპეშტი - კორვინუსის უნივერსიტეტი და დიდი ბრიტანეთი ესესის უნივერსიტეტი) გამოცდილებას ნერგავს 7 ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერული განათლების დანერგვას. პროექტის ფარგლებში საქართველოს 7 უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნა კარიერული ცენტრები. ამასთანავე, პროექტის მომზადების საწყის ეტაპზე გადამზადნენ კარიერული ცენტრების თანამშრომლები. ცენტრების ინიციატივით სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსები კარიერის დაგეგმვასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დასაქმების ცენტრები სტუდენტებს სთავაზობენ კარიერის დაგეგმვის საკითხებში დახმარებას და მიმართულებების მიცემას, დასაქმების პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული ღონისძიებების (მაგ. დასაქმების ფორუმები) ორგანიზებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში შექმნილი კარიერული ცენტრები მკაფიოდ ორიენტირებულნი არიან დასაქმების

სერვისების მიწოდებაზე (ზოგიერთ უნივერსიტეტში ცენტრს პირდაპირ აქვს მინიჭებული სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ფუნქცია), რაც მისასაღმებელია. თუმცა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული უწყვეტი კარიერული კონსულტაციის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთან, არც ამ შემთხვევაში გაგვაჩნია კვლევის მონაცემები, რათა დარწმუნებით ვისაუბროთ აღნიშნული პროექტის ეფექტიანობაზე, თუმცა აღნიშნული პროექტი უმაღლესი განათლების საფეხურზე კარიერული მომსახურების დანერგვის პირველი მცდელობაა და განვითარების/დახვეწის და პილოტირების საწყის ეტაპზეა.

იქიდან გამომდინარე რომ პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული დაგეგმვის ცენტრები არ არის დანერგილი ყველა უმაღლესს სასწავლებელში, მაგრამ მათი არსებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სიძლიერის და ხარისხს, როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნაში უნდა აისახოს პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების უზრუნველყოფის და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.

### **3. კონცეფციის მიზანი**

კონცეფცია შეიქმნა სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოქალაქეების კეთილდღეობასა და მათი უნარებისა თუ კომპეტენციების შესაბამისობის ზრდას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სწრაფად ცვალებადი გარემოს კვალდაკვალ. პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების გზით მოქალაქეებს მიეცემათ ფართო პროფესიული, კარიერული და საგანმანათლებლო კუთხით განვითარების შესაძლებლობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის ევროპული გამოცდილებით გათვალისწინებული ეფექტიანობის შემდეგ პრინციპებს:

#### **ა) პიროვნებაზე ცენტრირება (ორიენტაცია):**

ა.ა) უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია ეფექტიანია მაშინ, როდესაც იგი სისტემატური და პროგრესულია;

ა.ბ) უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია ეფექტიანია, თუ კი ის მნიშვნელოვნად განაპირობებს ბენეფიციარების ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და განვითარებას;

ა.გ). უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია ეფექტიანია, თუ კი ის ითვალისწინებს ადამიანების ინდივიდუალურ განსხვავებულობას და მომსახურება მორგებულია მათ საჭიროებებზე.

#### **ბ) სწავლისა და პროგრესის ხელშეწყობა:**

ბ.ა) უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია არ ნიშნავს ერთჯერად ჩარევას. ის ეფექტიანია, როდესაც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ მთელ რიგ ინტერვენციულ ღონისძიებებს;

ბ.ბ) უწყვეტი პროფესიული კონსულტაციის მთავარი მიზანი უნდა იყოს ბენეფიციარებისთვის საკუთარი კარიერის მართვის უნარების შექმნა და განვითარება;

ბ.გ) უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია უნდა წარმოადგენდეს სხვა მხარდამჭერ მომსახურებებთან (პროფესიული სწავლება, მომზადება/გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.) ინტეგრირებულ ერთიან სისტემას;

ბ.დ) უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია უნდა ეფუძნებოდეს მიღებულ სამუშაო გამოცდილებას, შესაბამისად, მასში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც დამსაქმებლები, ასევე დასაქმებულები.

#### **გ) ხარისხის უზრუნველყოფა:**

გ.ა) პროცესის წარმატებას ცალსახად განსაზღვრავს იმ სპეციალისტთა პროფესიონალიზმი, უნარები და განწყობები, რომლებიც უწყვეტ კარიერულ/პროფესიულ კონსულტირებას ანხორციელებენ;

გ.ბ) უწყვეტი პროფესიული კონსულტაციის წარმატება დამოკიდებულია შრომის ბაზართან დაკავშირებული დროულ, ხელმისაწვდომ, ხარისხიან ინფორმაციაზე;

გ.დ) უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია ხარისხიანია, როცა არსებობს თანამედროვე მეთოდური სახელმძღვანელოები და შეფასების სისტემები. უწყვეტი კარიერული/პროფესიული კონსულტაცია ნიშნავს მაღალი ხარისხის მომსახურების ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ადამიანისთვის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

### **4. ძირითადი ამოცანები**

კონცეფციის მიზანი უშუალოდ მიუთითებს, რომ უწყვეტი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება მორგებული უნდა იყოს განათლების და ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი

ადამიანების საჭიროებებს. ამასთანავე, ითვალისწინებდეს სხვადასხვა სოციალურ-ეთნიკური და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების (შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანები, პატიმრები და ა.შ.) საჭიროებებს და მოთხოვნილებებს. ბენეფიციართა ნებისმიერი ჯგუფისათვის მაღალკვალიფიციური კარიერული/პროფესიული კონსულტაციის მომსახურების მიწოდება იმთავითვე გულისხმობს, აღნიშნული ჯგუფების საჭიროებების შესწავლასა და წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გამოყენების საფუძველზე კონსულტაციის სპეციალური მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას.

აღნიშნული კონცეპტუალური დოკუმენტით გაწერილი მიზნის მიღწევა გულისხმობს შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ცალკეული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი თანმიმდევრული და/ან პარალელური ამოცანების შესრულებას.

#### **ა) ამოცანა 1. ბენეფიციარების ინფორმირება პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის საჭიროების შესახებ**

პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების კვალდაკვალ უნდა მოხდეს ბენეფიციართა ინფორმირება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. საჭიროა პასუხისმგებელმა საჯარო უწყებებმა საკუთარი ბენეფიციარების ინფორმირების მიზნით გამოიყენონ მასშტაბური საინფორმაციო საშუალებები და დაგეგმონ საორგანიზაციო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა მხრიდან ინტერესის გაზრდას, უწყვეტი პროფესიული კონსულტირების აუცილებლობის გაცნობიერებას, ამ მომსახურების ხელმისაწვდომობის გააზრებას და პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას. ცალსახად მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის საჭიროების გაცნობიერება, რათა მოხდეს შეთავაზებული სერვისების ათვისება და შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმეების მიზნობრიობა.

#### **ბ) ამოცანა 2. კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა**

კონცეფციის მთავარი მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემუშავდეს პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების ინსტიტუციური ჩართულობის ფორმა და დაგეგმილ სამუშაოთა შესრულების ნორმატიული საფუძვლები. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების ერთიან სისტემაში ჩართულ მხარეთა მონაწილეობით შეიქმნას მართვისა და კოორდინაციის იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა უწყებისა და ჩართული მხარის თანმიმდევრულ, ურთიერთშეთანხმებულ ოპერირებას ერთიანი ხედვისა და

სამოქმედო გეგმის მიზნების განხორციელებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციართა სხვადასხვა ჯგუფზე პასუხისმგებლობას შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა ინაწილებს, აუცილებელია მათი კოორდინირებული მოქმედება და მიწოდებული მომსახურების ერთ სისტემაში მოქცევა, რამდენადაც პროგრამის თითოეული კომპონენტი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა სტრუქტურების მიერ მომსახურების ერთგვაროვანი სტანდარტის შეთავაზება, რაც გულისხმობს ხარისხიანი, ყველასათვის ხელმისაწვდომი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდებას ინდივიდის შესაძლებლობების, სურვილების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია შეიქმნას გარკვეული ნორმატიული ბაზა, რომელიც დაარეგულირებს პროცესში ჩართული მხარეების უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობებს. პროგრამის განვითარებასთან ერთად აუცილებელია ხორციელდებოდეს ნორმატიული დოკუმენტების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა, რათა არ შეფერხდეს მომსახურების სრულყოფისა და სიახლეების დანერგვის პროცესი.

### **გ) ამოცანა 3. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სრულყოფილი სერვისის სტანდარტის განსაზღვრა**

ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ინდივიდის შესაძლებლობების და სურვილების, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდებისთვის საჭიროა: პროფესიული/კარიერული კონსულტანტის პროფესიული სტანდარტის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება არსებული პრაქტიკისა და რესურსების ანალიზსა და ევროპულ გამოცდილებას. აღნიშნული სტანდარტი აღწერს პროფესიული კონსულტანტის/კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის პროფესიას და განსაზღვრავს იმ აუცილებელ ცოდნა/უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა ფლობა აუცილებელია ამ პროფესიაში მოღვაწე პირთათვის; ადეკვატური, თანამედროვე და აპრობირებული მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება (როგორც კარიერული/პროფესიული კონსულტანტებისთვის, ისე ბენეფიციარებისთვის) განათლების ყველა დონისათვის, სკოლამდელი აღზრდის ეტაპიდან ზრდასრულთა განათლების ჩათვლით. ასევე მნიშვნელოვანია სანდო და ვალიდური, სტანდარტების შესაბამისი ფსიქოლოგიურ-დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების შექმნა/ადაპტაცია ან/და შესაფასებელი სისტემის შექმნა.

აღნიშნული ამოცანის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს განისაზღვროს სახელმწიფოს როლი ბენეფიციარებისათვის, უწყეტი პროფესიული



კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მიწოდების საქმეში. ამისთვის კი აუცილებელია ბენეფიციართა თითოეული ჯგუფისათვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ხარისხის სტანდარტების განსაზღვრა.

**დ) ამოცანა 4. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის კომპონენტების დანერგვა სკოლამდელი განათლების საფეხურზე**

მთელი სიცოცხლის განმავლობაში პროფესიული კონსულტაციის და კარიერის დაგეგმვის მომსახურება მისი უწყვეტობიდან გამომდინარე, მოიაზრებს კონსულტაციის ელემენტების/კომპონენტების შემოტანას/დანერგვას სკოლამდელი განათლების საფეხურზე და მათ ინტეგრაციას აღზრდის და განათლების მიღების პროცესში, რათა ბავშვმა თავიდანვე შეძლოს სხვადასხვა პროფესიული და საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაანალიზება და გაცნობიერება. კონსულტაცია სკოლამდელი განათლების საფეხურზე მოიცავს ბავშვის განვითარებაზე დაკვირვებას, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებას და შესაბამისი ღონისძიებების/აქტივობების დანერგვას; საბაზო, სოციალური და დასწავლის უნარების განვითარებასა და დახვეწას; ბავშვების ჩართულობას მათი სოციალური კეთილდღეობის და გარემო პირობების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ აქტივობებში/ღონისძიებებში; მშობლებთან (კანონიერ მეურვესთან) კონტაქტს, საჭიროების შემთხვევაში და სასკოლო განათლების საფეხურზე გადასვლისთვის მომზადებას. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდება პროფესიული ცხოვრების მნიშვნელობისა და პროფესიათა მრავალფეროვნების შესახებ. ინფორმირება უნდა განხორციელდეს ასაკისათვის ადეკვატური ფორმით, შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

**ე) ამოცანა 5. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სრულყოფილი მომსახურების მიწოდება სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის**

უწყვეტი პროფესიული კონსულტაცია და კარიერის დაგეგმვა, თავისთავად ნიშნავს მომსახურების მიწოდებას სასკოლო განათლების სამივე საფეხურზე, ფორმალური და არაფორმალური განათლების<sup>\*</sup> ფარგლებში. პიროვნების განვითარების ამ ეტაპზე კარიერის დაგეგმვასა და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული სწორი გადაწყვეტილების მიღებას, კრიტიკული მნიშვნელობა

---

<sup>\*</sup> **ფორმალური განათლება:** სტრუქტურული საგანმანათლებლო სისტემა ზოგადი განათლებიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით, რომელმაც შეიძლება აგრეთვე მოიცვას პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამები.  
**არაფორმალური განათლება:** ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას. არაფორმალურ პროფესიულ განათლებად ითვლება საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად მიღებული პროფესიული განათლება.

ენიჭება მომავალი კარიერული განვითარებისა და წარმატებისთვის. ამასთანავე, პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვის მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს განათლების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი მოსწავლეების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის მიწოდებული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება უნდა მოიცავდეს შემდეგ სერვისებს: საკლასო გაკვეთილები, ინდივიდუალური კონსულტაციები, ფსიქოლოგიური შეფასება, სასწავლო მიღწევების შეფასება, ონლაინ და დისტანციური კონსულტაციები, საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების/ალტერნატივების შეფასება/შესწავლა ინფორმაციის მოპოვება, ჯგუფური კონსულტაცია, საკუთარი თავის შესწავლაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, სამუშაო ადგილზე სწავლება.

**ვ) ამოცანა 6. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სრულყოფილი მომსახურების მიწოდება პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის.**

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიული კონსულტაციის სერვისის დანერგვა უკანასკნელ წლებში სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ აქტიურად იყო მხარდაჭერილი და დღესდღეობით ყველა საჯარო დაწესებულების სტუდენტები სარგებლობენ ამ მომსახურებით, აღნიშნული მიმართულება კვლავ საჭიროებს განვითარებას.

აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რათა პროფესიული განათლების საფეხურზე პროფესიული კონსულტაცია და კარიერის დაგეგმვა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური და სელექციური მიდგომის საფუძველზე ამომწურავი ცოდნის მიღებას, სტუდენტების კონსულტაციასა და შემდგომი კარიერული განვითარების მხარდაჭერას, მიუხედავად იმისა, თუ რას გულისხმობს ეს განვითარება შემდგომ განათლებას, დასაქმებას თუ მეწარმეობას. მნიშვნელოვანია შემუშავდეს კარიერული გზამკვლევები და მუდმივად ხდებოდეს სტუდენტების წახალისება აქტიური პროფესიული ცხოვრებისთვის. აუცილებელია დაინერგოს საუკეთესო პრაქტიკული მიდგომები, რაც სტუდენტთა მოტივაციაზე დადებითად აისახება. ყველა ის აქტივობა, რომელსაც განახორციელებს პროფესიული კონსულტანტი, უნდა ეყრდნობოდეს კვლევასა და მონაცემთა ანალიზს. ამგვარი მეთოდოლოგიის დანერგვა უპირობოდ აუცილებელია ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფისთვის და ერთიანი სისტემის განვითარებისთვის.

სრულყოფილი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის,

უნდა მოიცავდეს შემდეგ სერვისებზე ხელმისაწვდომობას: ჯგუფური კონსულტაცია; ინდივიდუალური კონსულტაცია; ონლაინ და დისტანციური კონსულტაცია; საკუთარი თავის შესწავლაზე ორიენტირებული მეთოდოლოგია; საგანმანათლებლო, პროფესიული და შრომითი შესაძლებლობების შესწავლა/შეფასება/ინფორმაციის მოძიება; სამუშაო ადგილზე სწავლება (პროფესიული წვრთნა), სასწავლო პროცესში ინტეგრირებული კონსულტაცია; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სწავლება; დასაქმების ხელშეწყობა ღირსეულ შრომის პირობებში და მეწარმეობის ხელშეწყობა.

**ზ) ამოცანა 7. პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის**

ამჟამად პროფესიული კონსულტირების და კარიერის დაგეგმვის მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ ათამდე უმაღლეს სასწავლებელში და ამ შემთხვევაშიც, უნივერსიტეტების კარიერული ცენტრები ძირითადად დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობენ, რაც კონსულტირების მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. უმაღლესმა სასწავლებლებმა სახელმწიფოს ტექნიკური მხარდამჭერით უნდა გააუმჯობესონ პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სერვისის ხარისხი და ხელმისაწვდომობა როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. უმაღლესი განათლების საფეხურზე პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მთავარი მიზანი უნდა იყოს შრომის ბაზრის მახასიათებლების გათვლისწინებით სასწავლო კურსების მოდიფიკაცია, რათა სტუდენტებმა შეძლონ იმ ცოდნის და კვალიფიკაციის მიღება, რომელიც დაეხმარებათ დასაქმებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნაში უნდა აისახოს პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების უზრუნველყოფის და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა.

პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის უნდა მოიცავდეს შემდეგი სერვისების არსებობას: ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია, სწავლებაში ინტეგრირებული კონსულტაცია, კარიერული და შერჩევის სერვისები, ონლაინ და დისტანციური კონსულტაცია, საგანმანათლებლო, პროფესიული და დასაქმების შესაძლებლობების შესწავლა/შეფასება/ინფორმაციის მოძიება, დასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სწავლება.

**თ) ამოცანა 8. პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება ზრდასრულთა განათლებაში**

ზრდასრულთა განათლების საკითხებზე საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. მათგან მხოლოდ ერთეულების მომსახურება ითვალისწინებს პროფესიული კონსულტაციის კომპონენტებს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ზრდასრულთა განათლებაში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს მომსახურების განვითარება და ხელმისაწვდომობა, რათა ზრდასრულ ასაკში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლოს კარიერული კონსულტაციის სერვისით სარგებლობა და იმ ფორმალური/არაფორმალური განათლების მიღება, რაც მას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანს გახდის. ამასთანავე, სახელმწიფომ უნდა წახალისოს ზრდასრულთა განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობა, რამეთუ მათი მონაწილეობა აღნიშნულ სექტორში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების მიმართულებით უმნიშვნელოვანესია.

ზრდასრულთა განათლებაში პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვის მომსახურება უნდა მოიცავდეს შემდეგი სერვისების მიწოდებასა და მათზე ხელმისაწვდომობას: ინდივიდუალური კონსულტაცია; სწავლაში ინტეგრირებული კონსულტაცია; ონლაინ და დისტანციური კონსულტაცია; ფსიქოლოგიური შეფასება და საკუთარი თავის შესწავლაზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის არსებობა/ხელმისაწვდომობა; პროფესიული, საგანმანათლებლო და დასაქმების შესაძლებლობების შესწავლა/შეფასება/ინფორმაციის მოძიება; სამუშაო ადგილზე სწავლება (პროფესიული წვრთნა), შრომის ბაზრის მოთხოვნებზე/საჭიროებებზე მორგებული სწავლება და დასაქმების ხელშეწყობა.

#### **ი) ამოცანა 9. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სერვისის მიწოდება დასაქმებულთათვის**

უწყვეტი პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება ნიშნავს მის საყოველთაო ხელმისაწვდომობას თითოეული ჯგუფისთვის. მნიშვნელოვანია დამსაქმებულებს შეეძლოთ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიღება. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და წახალისოს აღნიშნული მიმართულებით კერძო სექტორის ჩართულობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია საჯარო უწყებები თანამშრომლობდნენ დამსაქმებელთა ასოციაციასთან, პროფესიულ კავშირებთან, კერძო, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა საჯარო უწყებებთან.

სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას აღნიშნული სამიზნე ჯგუფისთვის კვალიფიციური და სრულყოფილი მომსახურების სერვისის მიწოდებისთვის. რაც მოიცავს: კონსულტირების ინდივიდუალური სერვისის



გაუმჯობესებას და სრულყოფას; ბენეფიციარებისთვის შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათ მომზადებას სამუშაოს ძიების ტექნიკების და შრომითი ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში; საკუთარი თავის შესწავლაზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის, ჯგუფური კონსულტაციის და დასაქმებაზე ორიენტირებული კონსულტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას, სამუშაო პოზიციასთან შესაბამისობის დადგენას, ტრენინგის და საგანმანათლებლო საჭიროებების განსაზღვრას და სამუშაოს დაკარგვის რისკების შეფასებას.

**კ) ამოცანა 10. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სერვისის მიწოდება სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის პროფესიული რეაბილიტაციის საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში ხელმისაწვდომი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების შექმნა მნიშვნელოვანი რესურსია პროფესიონალურ კარიერული კონსულტაციაზე მზარდი მოთხოვნის პირობებში. ამ ამოცანის შესრულება სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლის წინაპირობაა. სტანდარტით გათვალისწინებული კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების მომსახურების სერვისის მიწოდება დასაქმებულთათვის უშუალოდ უკავშირდება შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას, ზოგადი პროფესიონალიზმის ზრდასა და უმუშევრობის დონის შემცირებას. უაღრესად მნიშვნელოვანია, კარიერის დაგეგმვისა და კონსულტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს ყველა რეგიონში/მუნიციპალიტეტში, ნებისმიერი დასაქმებული თუ სამუშაოს მაძიებელი მოქალაქისათვის.

პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სერვისი უნდა იყოს ორიენტირებული ბენეფიციარების გადამზადებაზე, დასაქმებასა და შრომით ბაზარზე დაბრუნებაზე. შესაბამისად მათზე მორგებული სერვისი უნდა მოიცავდეს: დასაქმებასა და შრომით რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ინდივიდუალურ ან ჯგუფურ კონსულტაციას, კარიერის დაგეგმვას, შესაძლებლობების შეფასებასა და ფსიქოლოგიური შეფასებას/თვითშეფასებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობას, კონსულტაციას სპეციალისტებთან /პროფესიონალებთან, შრომითი და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეფასებას/შესწავლას/ინფორმაციის მოძიებას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციას და სწავლებას სამუშაო ადგილზე.

**ლ) ამოცანა 11. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება სოციალურად მოწყვლად ჯგუფებთან**



ნებისმიერი ტიპის პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და მორგებული სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი პირები, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირები, მსჯავრდებულები, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები და ა.შ.) საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შემთხვევაში (რასაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2006 წელს შემუშავებული „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების კონვენცია“, რომელშიც გაერთიანებულია საქართველოც) კონსულტაციის მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს მათ შესაძლებლობებს, მოთხოვნებსა და საჭიროებებს განათლების ნებისმიერ საფეხურსა და კარიერული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. ამასთანავე, ამ ტიპის ბენეფიციარებისთვის ნებისმიერი კარიერული მომსახურების გაწევისას ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, სპეციალური მასწავლებლის (საგანმანათლებლო დაწესებულებებში) და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ასისტენტების მომსახურება.

ნებისმიერი სახის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება ნებისმიერ ადგილზე, სადაც წარმოებს კარიერული კონსულტაცია, მორგებული უნდა იყოს ეროვნულ უმცირესობებზე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათ მშობლიურ ენაზე.

გარდა იმისა, რომ მსჯავრდებულები და ყოფილი მსჯავრდებულები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ მომსახურებით, რომლითაც სარგებლობენ სხვა ჯგუფის წარმომადგენლები; ამასთანავე, მათ შემთხვევაში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს მათი რესოციალიზაცია საზოგადოებასთან და შრომის ბაზარზე.

სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ნება უზრუნველყოს იმ პირთა პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით უზრუნველყოფა, რომლებიც არ იმყოფებიან არც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სასურველია შემუშავდეს მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული შესაბამისი პროგრამები, რომელთა მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბენეფიციართა დაბრუნება განათლების სისტემაში.

## 5. გადაჭრის გზები

საქართველოში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ამოცანების შესრულება შემდეგი გზებით არის შესაძლებელი:

### ა) სისტემის მართვა და კოორდინაცია

ვინაიდან პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელია სხვადასხვა უწყება კერძო და სახელმწიფო სექტორებიდან, მათ შორის სამი სამინისტრო: საქართველოს განათლების და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები, აღნიშნული სისტემის ფარგლებში წარმართული აქტივობების კოორდინაცია გამოწვევას წარმოადგენს. კონცეფციით გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესრულების კვლადაკვალ მნიშვნელოვანია, რეგულარულად მიმდინარეობდეს უწყებათაშორისი კომუნიკაცია, შესრულებული სამუშაოების შეფასება და სამომავლო გეგმების დასახვა. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელია სამივე სამინისტროს წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის/საბჭოს ფორმირება, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე პასუხისმგებელი იქნება კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების და მიზნების შესრულებაზე. აუცილებელია ჯგუფის წევრებმა ითანამშრომლონ პროფესიულ კონსულტირებასთან დაკავშირებულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ინდიკატორი: შექმნილია საბჭო/საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც განახორციელებს საქართველოში კარიერული დაგეგმვისა და კონსულტირების განვითარების ეროვნული კონცეფციით გაწერილი მიზნების შესრულების მონიტორინგს, ასევე დაგეგმავს და გაუწევს კოორდინაციას უწყებათაშორისი აქტივობების განხორციელებას. საბჭოს/საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სამივე პროცესებზე პასუხისმგებელი სამინისტრო და სისტემაში ჩართული სხვა მონაწილე/დაინტერესებული ორგანიზაციები.

### ბ) კარიერული/პროფესიული

### კონსულტანტების

### მომზადება/გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება

ქვეყანაში პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს კვალიფიციური კარიერული/პროფესიული კონსულტანტების არარსებობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ამ მიმართულებით, საგანმანათლებლო შესაძლებლობების სიმწირით არის განპირობებული. დღესდღეობით, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში შრომისა და ორგანიზაციის

ფსიქოლოგიის სტუდენტები რამდენიმე სასწავლო დიციპლინის ფარგლებში ეუფლებიან ცოდნას კარიერული/პროფესიული კონსულტაციის მიმართულებით, თუმცა, ეს კომპონენტი პროგრამის მცირე ნაწილს წარმოადგენს და არ ხორციელდება ამ სპეციალობით კვალიფიკაციის მინიჭება. შესაბამისად, კარიერული/პროფესიული კონსულტანტის სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის დაუფლება რომელიმე სასწავლო დაწესებულებაში შეუძლებელია. ამასთან, ქვეყანაში არ არსებობს არც პრაქტიკული გამოცდილება, რაც ზღუდავს ასევე შრომის ბაზარზე არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას. აუცილებელია ევროპის ქვეყნების გამოცდილებისა და სახელმწიფოს არსებული რესურსებიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნას კარიერული/პროფესიული კონსულტანტის პროფესიული სტანდარტი და წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების მიერ აპრობირებული, ამ მიმართულების სასწავლო კურსის მახასიათებლები. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნას კარიერული/პროფესიული კონსულტირების სასწავლო კურსის კურიკულუმი, რომელზეც დაყრდნობით დაინერგება აღნიშნული მოდული უნივერსიტეტებში.

საწყის ეტაპზე, კვალიფიციურ კარიერულ/პროფესიულ კონსულტანტებზე მაღალი მოთხოვნის პირობებში, უმჯობესი იქნება თუ შეიქმნება აღნიშნული მიმართულების სამაგისტრო კურსი, რომელიც პროფესიულ სტანდარტებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს პროფესიონალების მომზადებას. ამისთვის მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ჩატარდეს კვლევა, რომელიც გამოავლენს პროფესიული/კარიერული კონსულტანტების პროფესიის მახასიათებლებს, რომელთა დაფუძნებითაც შემუშავდება შესაბამისი სასწავლო პროგრამა. პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული მართვის სამაგისტრო კურსზე სწავლის გაგრძელების შანსი ექნებათ ის ადამიანებს, რომლებსაც მოპოვებული ექნებათ ბაკალავრის ხარისხი მონათესავე სოციალურ და განათლების მეცნიერებებში, მათ შორის: ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, სოციალური მუშაობა, სოციოლოგია და სხვ.

კარიერული/პროფესიული კონსულტანტების მოსამზადებელი სამაგისტრო კურსის შექმნა გრძელვადიანი პერსპექტივაა, რომელიც მოითხოვს 2 წლიანი სამაგისტრო კურსის გავლას ან დაჩქარებული ინტენსიური 1 წლიანი კურსის მომზადებას. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლებსა და სოციალური მომსახურების ცენტრებში პროფორიენტაციის მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს, უმჯობესი იქნება მოკლევადიანი მიზნის დასახვა და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი მოკლევადიანი ტრენინგ მოდულის შექმნა. ტრენინგ კურსი ჩაუტარდებათ იმ სპეციალიტებს, რომლებსაც უკვე აქვთ

შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და/ან მიღებული აქვთ შესაბამისი (ან მონათესავე პროფესიაში) განათლება.

**ინდიკატორი:** შექმნილია საწყის ეტაპზე გადასამზადებელი/ტრენინგ კურსები, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში სამაგისტრო კურსი პროფესიულ კონსულტაციასა და კარიერულ დაგეგმვაში, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ეფექტიანობასა და ხარისხს განაპირობებს.

**გ) სახელმძღვანელოების, მეთოდური მასალების, საინფორმაციო ლიტერატურის შემუშავება პროფესიული კონსულტანტებისა და მომხმარებლებისათვის**

საჭიროა მომზადდეს თანამედროვე, ევროპული საგანმანათლებლო პრაქტიკისა და უწყვეტი კონსულტირების პოლიტიკის შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოები, როგორც პროფესიული კონსულტანტებისთვის, ასევე უშუალოდ ნებისმიერი მომხმარებლისათვის ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში. უზრუნველყოფილ უნდა იქნას სახელმძღვანელოების შემუშავება და მორგება ცალკეულ ჯგუფებზე, როგორც კარიერული/პროფესიული კონსულტირების პრაქტიკოსებისათვის, ასევე ადამიანებისათვის, რომლებიც ცდილობენ კონსულტანტის დახმარების გარეშე თავად დაგეგმონ საკუთარი პროფესიული განვითარება. ამასთანავე, მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელოები და საკითხავი მასალა მორგებული უნდა იყოს განათლების სხვადასხვა საფეხურსა და კარიერული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი მოქალაქეების და სხვადასხვა სეგმენტზე მომუშავე კარიერული/პროფესიული კონსულტანტების საჭიროებებსა და მოთხოვნილებაზე. გარდა ამისა, სახელმძღვანელოები მორგებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.

**ინდიკატორი:** შემუშავებულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და საკითხავი ლიტერატურა და ხელმისაწვდომია ყველა ასაკის ადამიანისთვის, მისი საჭიროებებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე. არსებული რესურსი ადამიანებს საშუალებას აძლევს სწორად დაგეგმონ საკუთარი კარიერა, ხოლო კარიერის კონსულტანტი ეხმარება ეფექტიანი მომსახურების განხორციელებაში.

**დ) ფსიქოლოგიური შეფასების სისტემის შექმნა**

კვალიფიციური პროფესიული კონსულტაცია წარმოუდგენელია ადამიანის ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესწავლის გარეშე. აუცილებელია შეიქმნას ან/და ადაპტირდეს თანამედროვე საკვლევი ინსტრუმენტები,

რომელთა დახმარებითაც პროფესიული კონსულტანტები ეფექტიანი პრაქტიკის განხორციელებას შეძლებენ, ხოლო მომხმარებლები საკუთარი თავის შესახებ ცოდნის ამაღლებას და ამის საფუძველზე კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას. რეკომენდირებულია, შეიქმნას ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესწავლის ერთიანი, შეფასების ონლაინ სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს სამიზნე ჯგუფების მოთხოვნებსა თუ საჭიროებებს და, ამავე დროს, იქნება სანდო და ვალიდური. ამასთან,- ადაპტირდეს ეროვნულ უმცირესობებისათვის, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი ადამიანისთვის.

ინდიკატორი: შექმნილია ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესწავლის მეთოდური სისტემა, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე კარიერულ/პროფესიულ კონსულტანტს საშუალებას აძლევს შეისწავლოს პიროვნების უნიკალური მახასიათებლები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განახორციელოს კონსულტირება. ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისთვის, მორგებულია მათ საჭიროებებს და ემსახურება საკუთარი თავის შესახებ ცოდნის გაღრმავებას.

#### **ე) . საგანმანათლებლო და ტრენინგ შესაძლებლობების საძიებო სისტემის შექმნა**

რეკომენდირებულია შემუშავდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი საძიებო სისტემა, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მოიძიონ ინფორმაცია სხვადასხვა უნივერსიტეტების, პროფესიული სასწავლებლების, ტრენინგ პროგრამების და სხვა სახის საგანმანათლებლო კურსების შესახებ. დასაქმების მიმართულების მომუშავე კარიერულ/პროფესიულ კონსულტანტს საშუალება ექნება გამოიყენოს საძიებო სისტემა და დასაქმებულებს ან სამუშაოს მაძიებლებს შესთავაზოს მათთვის შესაფერისი ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რომელიც შრომის ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის. მოცემული საძიებო სისტემა ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსის რაოდენობის ზრდას და მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შემცირებას, რაც დღესდღეობით სახელმწიფოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კარიერულ/პროფესიულ კონსულტანტებს და მომხმარებლებს კი საშუალებას მისცემს მარტივად მიიღონ საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია და გააზრებულად დაგეგმონ შემდგომი ნაბიჯები.

ინდიკატორი: შექმნილია საგანმანათლებლო შესაძლებლობების ბაზაზე დაფუძნებული ყველასათვის ხელმისაწვდომი საძიებო სისტემა, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მარტივად მოიძიოს ინფორმაცია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების, პროფესიულ სასწავლებელთა სასწავლო



მიმართულებების, არსებული ტრენინგ პროგრამებისა და სხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ.

### ვ). პროფესიათა საინფორმაციო სისტემის შექმნა

სრულფასოვანი პროფესიული კონსულტაციის საწარმოებლად ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია პროფესიათა აღწერილობების საინფორმაციო სისტემის არსებობა, რომელიც მოგვაწოდებს დეტალურ ინფორმაციას საქართველოში არსებული ყველა პროფესიის შესახებ. აღწერილობები შეიცავს პროფესიების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციას: სამუშაო აღწერილობა (სამუშაო აქტივობები, დავალებები და ამოცანები); ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები; ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები; დასაქმების არეალი; განათლების დონე; შრომითი ღირებულებები, სამუშაოს სტილი, მონათესავე პროფესიები, ანაზღაურება და დასაქმება, დასაქმების შესაძლებლობები, დამატებითი ინფორმაცია. პროფესიათა აღწერილობების ქსელი წარმოადგენს პროფესიათა სამუშაო აღწერილობების სრულყოფილ ბაზას, რომელიც გამოიყენება სამუშაოს მაძიებლების, სამუშაო რესურსის განვითარების სამსახურების, ადამიანური რესურსის სპეციალისტების, მკვლევარების, სტუდენტების, სამუშაოს მაძიებლების, ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.

პროფესიათა საინფორმაციო სისტემის შექმნა საჭიროებს მასშტაბურ და მრავალრიცხოვან, ამასთან სისტემატურ კვლევით სამუშაოებს, რომელშიც ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურები. ის მომხმარებლებს უნდა აწოდებდეს მუდმივად განახლებად და რეალობის შესატყვის ინფორმაციას. შრომის ბაზრის კომპონენტებში პროფესიათა აღწერილობების სისტემა ინფორმაციას უნდა იღებდეს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემისაგან.

ინდიკატორი: შექმნილია პროფესიათა აღწერილობების საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოში არსებული ყველა პროფესიის შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

N	ქვეაქტივობები	პასუხისმგებელი ორგანიზაციები	მხარდამჭერი ორგანიზაციები	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის დადგომის ინდიკატორები	განხორციელების ვადები (წელი)						
						2015	2016	2017				
<b>ამოცანები</b>												
<p>1. ბენეფიციარების ინფორმირება კარიერული კონსულტაციისა და კარიერული დაგეგმვის საჭიროების შესახებ</p> <p>1.1. საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების და მათი მშობლების ინფორმირება</p> <p>1.2. დასაქმებულების და სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირება</p> <p>1.3. 29 წლამდე ახალგაზრდების ინფორმირება</p>						<p>1. განათლების და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>2. სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო</p> <p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p>	<p>უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები</p>	<p>პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ბენეფიციარები ინფორმირებულნი არიან მომსახურების და დადებითი შედეგების შესახებ</p>	<p>ბენეფიციარები ინფორმირებულნი არიან პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების საჭიროებებზე და სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისებით</p>	n	n	n
<p>2. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების განვითარებისთვის</p>						<p>1. განათლების და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>2. სპორტის და</p>	<p>პროფკავშირები, დამსაქმებელთა ასოციაცია, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, კერძო,</p>	<p>შემუშავებულია პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლო</p>	<p>მომსახურება ნებისმიერი მოქალაქისათვის მაქსიმალურად</p>	n		

<p>აუცილებელი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა</p> <p>2.1. ინსტიტუციონალიზაცია</p> <p>2.2. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა</p> <p>2.3. მომსახურების ერთგვაროვნების უზრუნველყოფა</p>	<p>ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო</p> <p>3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>ინტიტუციური ჩართულობის ფორმა და რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები/განსაზღვრულია კონსულტაციის განხორციელების ფორმალურ-სტრუქტურული მოწყობა</p>	<p>მოსახერხებელი და ხელმისაწვდომია. ბენეფიციართა სხვადასხვა ჯგუფზე პასუხისმგებლობას შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა იღებს გამომდინარე მათი ბენეფიციარებიდან,</p>	n		
<p>3. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების სრულყოფილი სერვისის სტანდარტის განსაზღვრა</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p> <p>3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, პროფკავშირები</p>	<p>დადგენილია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სტანდარტები</p>	<p>პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდება ხარისხიანი და კვალიფიციურია</p>	n		

3.1. პროფესიული /კარიერული კონსულტანტის პროფესიული სტანდარტის შექმნა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	განსაზღვრულია პროფესიული/კარიერული კონსულტანტის პროფესიული სტანდარტი, რომელიც შემოსაზღვრავს ამ პროფესიის სპეციალისტთათვის აუცილებელ ცოდნა/უნარებსა და საქმიანობის ფარგლებს.	კვალიფიციური პროფესიული/კარიერული კონსულტანტები ანხორციელებენ კვალიფიციურ და ხარისხიან მომსახურებას			
3.2. მეთოდური სახელმძღვანელოები (იხ. ქვემოთ)							
3.3. შეფასების სისტემა (იხ.ქვემოთ)							
3.4. ქვესტანდარტების განსაზღვრა თითოეული ჯგუფისათვის (იხ. ქვემოთ ამოცანები 4-10)	1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, დამსაქმებელთა ასოციაცია	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტები თითოეული ჯგუფისათვის	პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდება თითოეული ჯგუფისათვის ხარისხიანი და კვალიფიციურია	n		

<p>4. სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების სტანდარტის განსაზღვრა</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p>	<p>დამსაქმებელთა ასოციაცია, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტები სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის</p>	<p>პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდება სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციურია</p>	<p>n</p>	<p>n</p>
<p>4.1. ფორმალური განათლება</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>დამსაქმებელთა ასოციაცია</p>	<p>ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სტანდარტი</p>	<p>სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი კვალიფიური, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<p>n</p>	<p>n</p>
<p>4.2. არაფორმალური განათლება</p>	<p>სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p>	<p>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები</p>	<p>უზრუნველყოფილია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ის ასპექტები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმით და რომლებიც მნიშვნელოვანია სასკოლო განათლებაში კონსულტირების ქვესტანდარტის დასაკმაყოფილებლად</p>	<p>სასკოლო ასაკის ბავშვები იღებენ კონსულტაციის ქვესტანდარტის შესაბამის იმ მომსახურებას, რომელიც არ არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმით</p>	<p>n</p>	<p>n</p>



<p>5. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერული დაგეგმვის სრულყოფილი მომსახურების მიწოდება პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>პროფესიული სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი</p>	<p>პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციური პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n
<p>5.1. ფორმალური განათლება</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>პროფესიული სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი ფორმალური განათლების მიმართულებით</p>	<p>პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციური პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n

5.2. არაფორმალური განათლება	სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	პროფესიული სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი 29 წლამდე ახალგაზრდების ქვესტანდარტით განსაზღვრული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება არაფორმალური განათლების მიმართულებით	პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი 29 წლამდე მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციური პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით არაფორმალური განათლების მიმართულებით	n	n	n
5.3. დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პროფესიული სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლებისთვის ხელმისაწვდომია ქვესტანდარტით განსაზღვრული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება	პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, საყოველთაო და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n

<p>6. პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>უმაღლესი სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>განსაზღვრულია უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი</p>	<p>უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციური პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n
<p>6.1. ფორმალური განათლება</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>უმაღლესი სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები</p>	<p>განსაზღვრულია უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეებისთვის პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი ფორმალური განათლების მიმართულებით</p>	<p>პროფესიული უმაღლესი საფეხურზე მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციური პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n

6.2. არაფორმალური განათლება	სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	უმადლესი სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	უზრუნველყოფილია უმადლესი განათლების საფეხურზე მყოფი 29 წლამდე ახალგაზრდების ქვესტანდარტით განსაზღვრული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება არაფორმალური განათლების მიმართულებით	უმადლესი განათლების საფეხურზე მყოფი 29 წლამდე მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და კვალიფიციური პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით არაფორმალური განათლების მიმართულებით	n	n	n
6.3. დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	უმადლესი სასწავლებლები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	უმადლესი განათლების საფეხურზე მყოფი დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლებისთვის ხელმისაწვდომია ქვესტანდარტით განსაზღვრული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება	უმადლესი განათლების საფეხურზე მყოფი დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი მოქალაქეები სარგებლობენ ხელმისაწვდომი, საყოველთაო და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n

<p>7. პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება ზრდასრულთა განათლებაში</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი ზრდასრულთა განათლებაში</p>	<p>ზრდასრულთა განათლების ფარგლებში ბენეფიციარები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<table border="1"> <tr> <td>n</td> <td>n</td> <td>n</td> </tr> </table>	n	n	n
n	n	n						
<p>7.1. პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი ზრდასრულთა განათლების ფარგლებში პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ზრდასრული მოქალაქეებისთვის</p>	<p>ზრდასრულთა განათლების ფარგლებში პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი მოქალაქეები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<table border="1"> <tr> <td>n</td> <td>n</td> <td>n</td> </tr> </table>	n	n	n
n	n	n						



7.2. 29 წლამდე ახალგაზრდები	სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი ზრდასრულთა განათლების ფარგლებში 29 წლამდე მოქალაქეებისთვის	ზრდასრულთა განათლების ფარგლებში 29 წლამდე მოქალაქეები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n
7.3. დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი ზრდასრულთა განათლების ფარგლებში დასაქმებულთა და სამუშაოს მაძიებელთათვის	ზრდასრულთა განათლების ფარგლებში დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი მოქალაქეები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n

<p>8. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სერვისის მიწოდება დასაქმებულთათვის</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი დასაქმებულთათვის</p>	<p>დასაქმებულები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n
<p>8.1. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი დასაქმებულთათვის</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი დასაქმებულები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n
<p>8.2. 29 წლამდე ახალგაზრდები</p>	<p>სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი 29 წლამდე დასაქმებულთათვის</p>	<p>დასაქმებულები 29 წლამდე სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	n	n	n

8.3. დასაქმებულები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი დასაქმებულთათვის	დასაქმებულები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n
9. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების სერვისის მიწოდება სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის პროფესიული რეაბილიტაციის საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის	1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი სამუშაოს მაძიებელთათვის	სამუშაოს მაძიებლები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n
9.1. პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურზე მყოფი სამუშაოს მაძიებელთათვის	პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი სამუშაოს მაძიებლები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n

<p>9.2. 29 წლამდე ახალგაზრდები</p>	<p>სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი 29 წლამდე სამუშაოს მაძიებელთათვის</p>	<p>სამუშაოს მაძიებლები 29 წლამდე სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<p>n</p>	<p>n</p>	<p>n</p>
<p>9.3. სამუშაოს მაძიებლები</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი სამუშაოს მაძიებელთათვის</p>	<p>სამუშაოს მაძიებლები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<p>n</p>	<p>n</p>	<p>n</p>
<p>10. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება სოციალურად მოწყვლად ჯგუფებთან</p>	<p>1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი განათლებისა და კარიერული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის</p>	<p>განათლების და კარიერული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წევრები სარგებლობენ საყოველთაო, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<p>n</p>	<p>n</p>	<p>n</p>

<p>10.1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ფორმალური განათლება)</p>	<p>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მყოფი სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის</p>	<p>სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი სტუდენტები სარგებლობენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<table border="1"> <tr> <td>n</td> <td>n</td> <td>n</td> </tr> </table>	n	n	n
n	n	n						
<p>10.2. 29 წლამდე ახალგაზრდებთან (არაფორმალური განათლება)</p>	<p>სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</p>	<p>პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი 29 წლამდე სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის</p>	<p>სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების 29 წლამდე წარმომადგენლები სარგებლობენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით</p>	<table border="1"> <tr> <td>n</td> <td>n</td> <td>n</td> </tr> </table>	n	n	n
n	n	n						



10. 3. დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები	განსაზღვრულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების ქვესტანდარტი სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი წარმომადგენელთათვის	სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი წევრები სარგებლობენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებით	n	n	n
<b>გადაჭრის გზები</b>							
11. სისტემის მართვა და კოორდინაცია	1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფესიული კავშირები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები	კონცეფციით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელთაგან შექმნილია მაკოორდინირებელი ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კონცეფციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, კონტროლსა და მართვაზე	მაკოორდინირებელი ჯგუფი გარკვეული პერიოდულობით წარმოადგენს კონცეფციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ანგარიშს			

12. კარიერული/პროფესიული კონსულტანტების მომზადება/გადამზადება	1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	გადამზადებულები/მომზად ებულნი არიან კარიერული/პროფესიული კონსულტანტები	კვალიფიციური პროფესიული/კარიერუ ლი კონსულტანტები ანხორციელებენ კვალიფიციურ პროფესიულ კონსულტირებასა და კარიერის დაგეგმვას	n	n	n
12.1. საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	გადამზადებულები/მომზად ებულნი არიან კარიერული/პროფესიული კონსულტანტები სასკოლო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში	კვალიფიციური პროფესიული/კარიერუ ლი კონსულტანტები ანხორციელებენ კვალიფიციურ პროფესიულ კონსულტირებასა და კარიერის დაგეგმვას საგანმანათლებლო დაწესებულებებში	n	n	
12.2. ახალგაზრდული ცენტრებისთვის	სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	ახალგაზრდული ცენტრებისთვის გადამზადებულნი/მომზადე ბულნი არიან პროფესიული/კარიერული კონსულტანტები	კვალიფიციური პროფესიული/კარიერუ ლი კონსულტანტები ანხორციელებენ კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას ახალგაზრდულ ცენტრებში	n	n	

12.3. სოციალური მომსახურების ცენტრებისთვის	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	სოციალური მომსახურების ცენტრებისთვის გადამზადებულნი/მომზადებულნი არიან პროფესიული/კარიერული კონსულტანტები	კვალიფიციური პროფესიული/კარიერული კონსულტანტები ანხორციელებენ კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას სოციალური მომსახურების ცენტრებში	n	n	
12.4. სამაგისტრო კურსის შექმნა		უმაღლესი სასწავლებლები	შექმნილია სამაგისტრო კურსი სადაც ხდება კარიერული/პროფესიული კონსულტანტების მომზადება	კვალიფიციური პროფესიული/კარიერული კონსულტანტები ანხორციელებენ კვალიფიციური და ხარისხიანი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების მიწოდებას		n	n
13. სახელმძღვანელოების, მეთოდური მასალების, საინფორმაციო ლიტერატურის შემუშავება პროფესიული კონსულტანტებისა და მომხმარებლებისათვის	1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები	შექმნილია სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და საინფორმაციო ლიტერატურა პროფესიული კონსულტანტებისა და ბენეფიციარებისთვის	პროფესიული კონსულტანტები და ბენეფიციარები სარგებლობენ მიზნობრივად მათთვის შექმნილი სახელმძღვანელოებით, მეთოდური მასალებითა და საინფორმაციო ლიტერატურით	n	n	

13.1. ფორმალურ განათლებაში	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და საინფორმაციო ლიტერატურა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის როგორც პროფესიული კონსულტანტებისთვის, ასევე ბენეფიციართათვის	სკოლის მოსწავლეები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახელმძღვანელოებით, მეთოდური მასალებითა და საინფორმაციო ლიტერატურით	<table border="1"> <tr> <td data-bbox="1774 186 1858 665">n</td> <td data-bbox="1858 186 1942 665">n</td> <td data-bbox="1942 186 2016 665"></td> </tr> <tr> <td data-bbox="1774 665 1858 1112">n</td> <td data-bbox="1858 665 1942 1112">n</td> <td data-bbox="1942 665 2016 1112"></td> </tr> </table>	n	n		n	n	
n	n										
n	n										
13.2. არაფორმალურ განათლებაში (29 წლამდე)	სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები	პროფესიული კონსულტანტებისთვის და ბენეფიციარებისთვის შექმნილია ის სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და საინფორმაციო ლიტერატურა, რომელიც არ არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმით	პროფესიული კონსულტანტები და 29 წლამდე ბენეფიციარები სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუწერელი სახელმძღვანელოებით, მეთოდური მასალებითა და საინფორმაციო ლიტერატურით	<table border="1"> <tr> <td data-bbox="1774 673 1858 1112">n</td> <td data-bbox="1858 673 1942 1112">n</td> <td data-bbox="1942 673 2016 1112"></td> </tr> </table>	n	n				
n	n										

<p>13.3. დასაქმებულთა და სამუშაოს მაძიებელთათვის</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>უმადლესი და პროფესიული სასწავლებლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები</p>	<p>პროფესიული კონსულტანტებისთვის და ბენეფიციარებისთვის შექმნილია დასაქმებულებსა და სამუშაოს მაძიებლებზე გათვლილი სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და საინფორმაციო ლიტერატურა</p>	<p>დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები/ ასევე მათზე მომუშავე პროფესიული კონსულტანტები სარგებლობენ სახელმძღვანელოებით, მეთოდური მასალებითა და საინფორმაციო ლიტერატურით</p>	<p>n</p>	<p>n</p>	
<p>14. ფსიქოლოგიური შეფასების სისტემის შექმნა</p>		<p>საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები</p>	<p>შექმნილია ფსიქოლოგიური შეფასების სისტემა, რომელიც ეხმარება პროფესიულ კონსულტანტებს მომსახურების წარმოებაში და ბენეფიციარებს საკუთარი თავის შესახებ ცოდნის ამადლებაში</p>	<p>პროფესიული კონსულტანტები და ბენეფიციარები სარგებლობენ ფსიქოლოგიური შეფასების სისტემით</p>	<p>n</p>	<p>n</p>	
<p>15. საგანმანათლებლო და ტრენინგ შესაძლებლობების საძიებო სისტემის შექმნა</p>	<p>1. სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო 2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>უმადლესი და პროფესიული სასწავლებლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია</p>	<p>შექმნილია საგანმანათლებლო და ტრენინგ შესაძლებლობების საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ვებზე მორგებული და მუდმივად განახლებადი საძიებო სისტემა</p>	<p>საძიებო სისტემის დახმარებით ბენეფიციარები და პროფესიული კონსულტანტები ადვილად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო/ტრენინგ საჭიროებების შესახებ</p>		<p>n</p>	



<p>16. პროფესიათა საინფორმაციო სისტემის შექმნა</p>	<p>1. სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო 2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p>	<p>უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებელთა ასოციაცია, პროფკავშირები</p>	<p>შექმნილია პროფესიათა საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებული ყველა პროფესიის აღწერილობებს</p>	<p>პროფესიათა აღწერილობების სრულყოფილ ბაზას იყენებენ სამუშაოს მაძიებლების, სამუშაო რესურსის განვითარების სამსახურები, ადამიანური რესურსის სპეციალისტები, მკვლევარები, სტუდენტები, სამუშაოს მაძიებლები, ორგანიზაციები და სხვ დაინტერესებული პირები</p>	<p>n</p>	<p>n</p>	
--	--	---	--	---	----------	----------	--